რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზია-ში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ"

პირველის სეკტემბრიდამ წლის დამლევამდე. ფასი ოთხი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის სამი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

9 სეკტემბერს.

ვენა. კაშგარის სამზღვარზე 15 სეკტემბერს გაიხსნება იარმარკა იმის გამოსაცდელად, თუ როგორ წავა ვაჭრობა კაშგარსა და თურქესტანს შუა.

რეველი. ამ ქალაქში საშინელი ქარიშხალი იყო, რომელმაც დიდ-როვანი ხეები ძირიანად ამოაგდო. ქალაქში და ქალაქს ახლო ადგილებში ბევრი სახლებია დაზიანებული.

ლონდონი. გაზეთი «Standard» ამბობს შესახებ გაზეთების ლაპარაკისა გლადსტონის კოპენჰაგენში წასვლის თაობაზედ, რომ ეს მოქმედება არ შეეფერება ინგლისის პოლიტიკასა და ინგლისის მინისტრი არ უნდა ჰკრავდეს კავშირს გერმანიისა და ავსტრიის წინააღმდეგ, რომელთა მხარეც უჭირავ ინგლისს, როგორც მშვიდობიანობის მცველებისას.

ზაგრები. გუშინ ფარჯა შევათში მოხდა ჰეტაკება გლეხებსა და მათ წინააღმდეგ გაგზავნილ სალდათებს შორის. 10 გლეხი მოჰკლეს და ორი სალდათი მძიმედ დასჭრეს.

## ბირჟა

პეტერბურღი, 1883 წ.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე — — | $23^{25}/_{32}$, $23^{13}/_{16}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე — — | $202^{3}/_{4}$, 203 |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — — | $250^{3}/_{4}$, 250 |
| პოლუიმპერიალები — — | 8 მ. 30 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 28 კ. გაყ. |
| ვერცხლის მანათი — — | 1 მ. 40 კ. გაყ. |
| პირეის დისკონტი — — | 6 და 7% |
| 5% ბილეთები აღმოსავლეთის სესხისა 100 და 1000 მან. I გამოცემისა — | 92 მ. გაყ. |
| 5% ბილეთები აღმ. სესხისა 100 და 1000 მ. II გამოცემისა — — — | 92 მ. გაყ. |
| 5% ბილეთები აღმ. სესხისა 100 და 1000 მ. III გამოც. | 92 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — — | 215 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა — — | $206^{3}/_{4}$ მ. გაყ. |

| | |
|---|---|
| რუსული ხორბალი, 10 ფუთი — — — — | $11^{3}/_{4}$ მ.—12 მ. |
| ხორბალი საქსონკა უმაღლესის სორტისა, 10 ფუთი | 12 მ. 35 კ. $12^{1}/_{2}$ მ. |
| ჭვავის პური, 9 ფუთი — | 9 მ. 15 კ. გაყ. |
| შვრია, 6 ფუთი — — | $4^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| ქერი, 8 ფუთი — — | 8 მან. 40 კ. გაყ. |
| ფქვილი ჭვავის პურისა, მოსკოვისა, 9 ფუთი — | $9^{1}/_{4}$ მ. გაყ. |
| კეროსინი ამერიკისა — | 2 მ. 70 კ. გაყ. |
| კეროსინი რუსული — — | 1 მ. 30 კ. გაყ. |
| ქონი უვითელი, სანთლისა, 1-ლი სორტისა — — | 73 მ. გაყ. |
| ქონი საპნისა — — — | არ არის. |
| ერბო ძროხისა, ციმბირისა | 10 მ. 70 კ. გაყ. |
| სპილენძი ფურცლობით, ფუთი — — — — | იგივეა |
| რკინა ფურცლობით, ფუთი | $3^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| ძროხის ტყავები დამარილებული, ფუთი — — | 14 მან. გაყ. |
| ძროხის ტყავები ამერიკისა, ფუთი — — — — | 5 მ. 15 კ. გაყ. |
| სპირტი ოსტზეისა 40%, | |
| ვედრო — — — — | 93 კ. გაყ. |

«დროების» ფელეტონი, 11 სეკტემბ.

## კვირის საუბარი.

იმდენი წელიწადი იცხოვრე, ჩემო მკითხველო,—ნუ გენაღვლება—რამოდენი მინუტი მე დაფიქრებული ვიყავი, როდესაც «დროების» რედაქტორმა მიმიპატიჟა თავის გაზეთში საკვირაო მეფელეტონეთ. დამიჯერებთ თუ არა—ეს თქვენი ნებაა, მაგრამ მე სრულიად დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ თვით მისს უდიდებულესობას ჩინეთის იმპერატორს რომ მოეწიჭებინა ჩემთვის მრავალ-ექვსნოვანი მანდარინობა, ეს უკანასკნელი პატივი ისე არ გამაკვირვებდა და, განსაკუთრებით, ისე არ შემაშინებდა, როგორც გამაკვირვა და შემაშინა ზემოხსენებულმა მოპატიჟებამ.

— ჰმ! კვირის მეფელეტონე!.. მოსაუბრე!.. ბრრრ!!. მოდი და ნუ დაგივლის ჟრუანტელი ტანში; მოდი და გაექეცი სასოწარკვეთილებას.

— რის სასოწარკვეთილება, რის შიში?! იტყვის რომელიმე გამბედავი მკითხველი. წაავლე კალამს ხელი და იტიკტიკე, რაც მოგადგეს ენაზე!

— ახ! თუ ღმერთი გრწამთ, ნუ გამაგონებთ მაგგვარ უსჯულოებას! მე გულწრფელად უნდა გაგიტყდეთ, არაფერი არ მეწყინება ხოლმე ისე, როგორც ასე წინდაუხედავად წამოროშილი სიტყვები. ერთი ჩემი ნაცნობი, რომელიც თუმცა ვარსკვლავებს არ კრებდა ციდამ და ჯიბეში არ იწყობდა, მაგრამ არც ისე ურიგო კაცი იყო, როგორც, შეიძლება, თქვენ გგონიათ, და თუ დროზე შეფერებით ვიტყვით, ეგებ ბევრ თქვენ ნაცნობებს, რომელთაც თქვენ ჭკვიან კაცებს უძახით, კიდეც ჰსჯობდა,—ai ეს ჩემი ნაცნობი არა ერთხელ მეტყოდა ხოლმე «დროსა მას ფილოსოფოსობისასა»:

— იცი, მეგობარო, რა გითხრა? ტყუილად კი არ მოუცია იმ დალოცვილ ღმერთს ასე დიდი თავი და ასე პატარა ენა კაცისათვის: კაცმა ბევრი უნდა იფიქროს და ცოტა უნდა ილაპარაკოს.

***

ეს ჩემი მეგობრის ჰაზრი მე ვისმეს გამოსაჯავრებლად კი არ მომიყვანია, ჩემო მკითხველო,—არა, ისე თავის თავად მოვიდა, ან «სიტყვას მოჰყვა», როგორც იტყვიან, და კარგათაც ჰქნა რომ «მოჰყვა», მისთვის რომ ურიგობა მასში არაფერია და საგულისხმო ბევრია. აი ავიღოთ თუნდ მაგალითად ზემომოყვანილი «გამბედავი მკითხველის» სიტყვები: «წაავლე კალამს ხელი და იტიკტიკე, რაც მოგადგეს ენაზე!» როგორ? თქვენის ჰაზრით, ბატონებო, ეს ასე უნდა თქმულიყო? როგორ? განა საკვირაო მეფელეტონეს არაფერი მიუძღვის წინ სავალალო და ჩასაფიქრებელი? როგორ? საზოგადოებასთან საუბარი განა მართლა ისე უმნიშვნელო რამეა, რომ საჭიროა მხოლოდ მოხსნა გუდას თავი და «ააჭრიჭინო აჭი-ბაჭია?» თუ ვინმე მკითხველთაგანი მართლა ამ ჰაზრისაა,—დამილოცვია მისთვის გზა და სავალი, მე კი... მე კი ნება მიბოძეთ ვიქონიო ამ შემთხვევაში ჩემი საკუთარი ჰაზრი.—

ჩემის ჰაზრით, გაზეთი, ყოველის ფერზე უწინ, ვრცელი და უზარმაზარი აუდიტორიაა, სადაც მსმენელებს შეადგენს მთელი მკითხველი საზოგადოება. როგორც რიცხვი, ისე გონებითი საუნჯე ამ მსმენელებისა უცნობი და მრავალ-ფეროვანია. მრავალ-გვარი და მრავალ-ფეროვანია აგრეთვე იმ კითხვების გუნდი, რომელთაც, მათი მიუღწევნელობის გამო, «დაწყევლილ კითხვებს» ეძახიან და რომელნიც შავ-ბურუსსავით თავს ახვევია ყოველ საზოგადოების ცხოვრებას, რა ნათელი და ბრწყინვალეც უნდა იყოს ის ცხოვრება. ვიმეორებ, ეს კითხვები აუარებელი და განუზომელია და მხოლოდ განათლებულ საზოგადოების გონებითს ძალას და გამბედაობას შეუძლია იტვირთოს ამ სიმძიმის ატანა და შემსუბუქება. ყოველდღიურ მწერლობის გარდა, მას აქვს ამისათვის კიდევ ბევრი სხვა იარაღი, რომლის შემწეობით ადვილად შეუძლიან მიაღწიოს თავის მიზანს. მწერლობა ამ შემთხვევაში მისთვის ერთი დამხმარებელი საშუალებათაგანია—მეტი არა, და თუმცა იქაც მწერლობა დიდი და მძლავრი იარაღია, მაგრამ ამ იარაღთან ერთად, ვიმეორებ, მოქმედობს ბევრი სხვა, რომელიც ერთი ათად უმსუბუქებს საქმეს როგორც საზოგადოებას, ისე თვით მწერლობასაც.

***

ჩვენში სულ სხვაა.

ჩვენში დღემდის მწერლობასაც არ ჰქონია შესამჩნევი ხმა საზოგადო საქმეების მსვლელობაში და, რაც შეეხება სხვა რამე საშუალებას მათ წარმატებისათვის, ამაზე ლაპარაკი ხომ სულ მეტი და უმნიშვნელოა. ეხლა კი ჩვენი ერთად-ერთი იმედი ტრიალობს მწერლობაზე, მასზეა დამყარებული ჩვენი ბედი და უბედობა, ჩვენი აწმყო და მომავალი, ჩვენი ნუგეში და ჩვენი მოლოდინი. ჩვენი მწუხარების გამამჟღავნებელი და მსალმუნებელი იგია, ჩვენი «დაწყევლილი კითხვების» მტვირთავი და გადამწყვეტიც იგია. საერო, საზოგადო საქმიდამ მოკიდებული, უბრალო, მიყრუებულ სოფლის გლეხის კერძო საქმემდის,—ყოველისფერი ამ მწერლობის მხრებზეა დამყარებული. დღეს ეს მწერლობა ჰსჯის და იბრძვის რომელიმე საერთო საქმისათვის, როგორც, მაგალითად, ენაა, ხალხოსნობა, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა და სხვა; ხვალ იგივე მწერლობა იძულებულია, ამასთან ერთად, გაეშუროს რომელიმე მჩაგვრელის ჩასალაგმავად და კალთა გადაახუროს განუკითხავ ჩაგრულს. ერთი სიტყვით, იგი ჩვენი ადვოკატიცაა და ჩამაგონებელიც, მქადაგებელიც.

მართალია, შეიძლება ამ ადვოკატის მჭევრ-მეტყველება, ხან-და-ხან, ეგრეთ წოდებულ «მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო» ფუჭად ჩაილის; შეიძლება აგრეთვე, რომ ამ მქადაგებელის «სიტყვა მაღალი» ხშირად რჩება «ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა», მოსალოდნელია აგრეთვე რომ ჩვენის მწუხარების გამოთქმა და განკურნება, ისე როგორც ზემო-მოყვანილი «დაწყევლილი» კითხვების «განჩხრეკა და გამოკვლევა მწერლობის მხრით არა ყოველთვის შეეფერება საჭიროების მოთხოვნილებას,— ეს ყოველიფერი, ვიმეორებთ, მართალია და შესაძლებელი. ამ შემთხვევაში დღესავით ნათელი ფაქტის უარყოფა და გვერდის ხვევა, ჩვენის მხრით, ტუტუცობა და წინ-დაუხედველობა იქნებოდა

***

მაგრამ... მაგრამ აგრეთივე ტუტუცობა იქნება ყოველი ადამიანის მხრით, რომელიც მწერლობის ძალას და გავლენას,—თუნდ ეს მწერლობა ჩვენი მწერლობა იყოს,—უმნიშვნელოდ და უსარგებლოდ შერაცხს. ის დაამტკიცებს ამით მხოლოდ თავის სიბრმავეს და უჩინობას, იმ უჩი-

შაქარი რაფინადი 1-ლის სორტისა, ფუთი — — 8 1/2 მ. გაუ.
შაქარი რაფინადი, მე 2 სორტისა, ფუთი — — არ არის.
ფხვნილი შაქარი — — 6 მან. 90 კ. გაუ.
პოლუში, 10 ფუთი — 27 მან. გაუ.

## შინაური ქრონიკა

ყვირილიდამ კიდევ უკმაყოფილებას გვწერენ ხიდის უვარგისობის გამოისობით. ეს მით უფრო საგრძნობელია, რომ ფოსტის კანტორა წყალს გაღმა გამოუჭიმავთ, სადაც სამი მოსახლის მეტი არა სდგას და წერილების გაგზავნა ძალიან გვიჭირდება.

განჯისკენ ძალიან გავრცელებულა თურმე ადამიანების ხოცვა და პირუტყულად მოპყრობა: დიდი ხანი არ არის მას აქეთ რაც ვილმანი მოკლეს, და მისი ყოფა-ცხოვრება გაანადგურეს. 12 კაცს ბრალდება ეს მკვლელობა და 11 მათგანი დატუსაღებულია; ყაზახის მაზრიდამ ჩამოიყვანეს ახალგაზრდა თათრის ქალი მკვლელი ქმრისა და საყვარლისა. აჯიკენტში მოჰკლეს სამი თათარი; ჯერ-ჯერობით მკვლელები გამოძიებას არ აღმოუჩენია. ხაჯიბულახში (საზაფხულო ადგილია) ერთმა ბობოლა პრისტავმა ჯავათ-ბეგ-შახნაზაროვმა «როზგით» სული ამოართვა თათარს; გამოძიებაა დანიშნული და საქმე ბ. პიხაჩევს აქვს ხელში, მაგრამ ამბობენ ჩაათვარცხებენო... განჯაში ორმა ყაზახმა რუსმა თათარი მოჰკლეს ქათმის-გამო, რომლის მოსაპარავად შესულიყვნენ მის ეზოში, პატრონს გაეგო და პოლიციაში წაყვანა მოუნდომებინა, მაგრამ სალდათებს პოლიციაში წასვლას მისი სიკვდილი ურჩევნიათ. ამ დღეებში კიდევ ძმამ-ძმა მოჰკლა. აი დღესაც ერთი ბერძნის ქალი მოჰკლეს კალოიის ქუჩაზე; ერთის სიტყვით როგორც რუსები იტყვიან «что ни день, то убійство».

იქიდამვე იწერებიან: დუშეთიდამ სხივიან, მაგრამ არც აქაური ციხის ზედამხედველი იყო წმინდა წყლისა. კარგია კიდევ დაითხოვეს, მაგრამ თან 200 მანეთამდე გაჰყოლია, სხვათა შორის ტუსაღებისაგან მიბარებული ფულიც. მის მაგიერ დაინიშნა ბ. ალ. ზერიძე. იმედია, რომ ეს მაინც საბრალო ტუსაღებს არას გამორჩება.

გორის მაზრის სოფ. ლიწში ამას წინედ მომხდარა ერთი შემთხვევა, რომელიც ამტკიცებს, როგორ არის კიდევ ჩვენში ცრუ მორწმუნეობა გავრცელებული: მინდორში გაჰყოლოდათ პატარა ბიჭებს ხუთის წლის პატარა ქალი. ცოტა ხნის შემდეგ მოსულიყო სეტყვა, ბიჭები გაქცეულიყვნენ სოფელში, ქალი კი ერთ დაბურულ ტყეში შესულიყო და ჯაგ ქვეშ დაემინა. სეტყვის შემდეგ დაუწყიათ ძებნა ქალისა მთელს სოფელს, მაგრამ ვერსად ეპოვნათ. საღამო-ხანს ერთს ბებერს დედაკაცს ეპოვა ქალი ჯაგ ქვეშ დაძინებული და ეამბნა სხვებისთვის. მაგრამ იმათ ეთქვათ; ეშმაკიაო და არავინ მიჰკარებოდა. ბოლოს ერთი მათგანი, გვარად ჩოჩიშვილი მისულიყო ქალთან, აეყვანებინა და სოფელში წაეყვანა. კარგია კიდევ, რომ ჩოჩიშვილმა არავის დაუჯერა, თორემ საწყალი ქალი გახდებოდა მსხვერპლი ნადირისა და მასთან ცრუ-მორწმუნოებისა.

## რუსეთი

— გაზეთებში იწერებიან, რომ ცენზურას ნება არ მიუცია იმ ცალკე ბროშიურის გამოცემისა, რომელიც იწვევს რუსეთის საზოგადოებას, შესწიროს ფული ტურგენიევისთვის მეგლის დასადგმელად.

— ყველამ იცის ამ უკანასკნელ წლებში რა ნაირად ოხრდება, ემუსრება ტყე, როგორც კერძო აგრეთვე სახელმწიფოსი. ამ გარემოებას მთავრობამ რასაკვირველია, ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და ეხლა, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს დაიწყოს მუშაობა ტყის გასაახლებლად იმ ადგილებში, სადაც გაკაფულია, და აგრეთვე მინდვრიანს ადგილებში ახალი ტყის გასაჩენად. ამ განზრახვით სამინისტროს გამოუთხოვნია მომავალ 1884 წლისთვის 25000 მანეთი სესხად.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო ერთი განსაცვიფრებელი ამბავი, რომელიც ვერა გზით ჩვენ ვერ აგვიხსნია.

---

ნობას, რომლით ავადმყოფი იმასაც ვერ გრძნობს და ვერ ხედავს, რაც მის ცხვირის წინ ხდება... ჭკვიანი კაცი, ბატონებო, მაინც-და-მაინც იმას კი არ აქცევს ყურადღებას, რაც უმეტესად ქუხს, და ხმაურობს, რაც ყველაზე მაღლა ყვირის თავის-თავზე. წინაალმდეგ, თვით ეს ყვირილი და ხმაურობა მას შინაგანი სიცარიელის და არარაობის ნიშნად მიაჩნია.. ის აკვირდება და იკვლევს უფრო იმ საქმის და დაწესებულების მსვლელობას, რომელიც ყოველ-დღიურ მორევში და ხმაურობაში ჩუმად მაგრამ მტკიცედ და გზაგადაუხვევლად მისდევს თავის მიზანს და თავის ნამოქმედარის კვალს და ავკარგობას ცხადად ამჩნევს თვით ცხოვრებას. ამნაირი ადამიანი, ვამბობ მე, აქეთ-იქით როდი აფაცეცებს თვალებს, როდი ბრმავდება გარეგნობით, როდი ჰკარგავს გონებას ყოველ უმნიშვნელო, მაგრამ ბრწყინვალე ფაქტის წინ,—არა, ის სრულებით ყურადღებას არ აქცევს ამ გვარ მოვლენას, ის მიდის უფრო შორს, ის ყველას და ყოველიფერს, ვინც და რაც მისგან თავის დაფასებას მოელის, პირდაპირ და აშკარად ეუბნება:—აბა მიჩვენეთ, ბატონებო, რა იმოქმედეთ და რა გააუმჯობესეთ და მაშინ მოგახსენებთ, ვინ ბრძანდებით!

ამისთანა გონიერი კაცი რომ მობრძანდეს ჩემთან და მომცეს ზემოხსენებული კითხვა, ესე იგი, მოიწადინოს გაგება, თუ რა გააკეთა და როგორ იმოქმედა ჩვენმა მწერლობამ (მე ვამბობ აქ, რასაკვირველია ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაზე) მე დავუხატავდი მას შემდეგს სურათს. მე გავაცნობდი მას ერთგვარ საზოგადოებას, რომლის ყოველ-დღიური ცხოვრება იქნებოდა ნამდვილი პირი პატივცემული ლუარსაბ თათქარიძის კერძო ცხოვრებისა. ამ უკანასკნელსავით იმ საზოგადოების ფიქრი და ინტერესიც შეადგენდა მხოლოდ ძილს და ლორ-მუცლობას, მისი გონებითი ძალაც არ აღემატებოდა თათქარიძის ჭკუის გამჭრიახობას, მისი პოლიტიკური აღზრდა გაგახსენებდათ იმავე თავადის მსჯელობას პოლიტიკაზე, ომების მიზეზზე და სხვა. უმეცრება, თავისი-თავის უცნობლობა, ცრუმორწმუნე, სუსტის ჩაგვრა, მძლავრის ფერხთა მტვერის ლოკვა, აწმყოს გაუგებლობა, მომავალზე უზრუნველობა,—აი მისი საუნჯე და მისი ავლა-დიდება. განუზომელი, განუსაზღვრელი წყვდიადია ამ საზოგადოების ცხოვრების გამომხატველი, ის საშინელი წყვდიადი, რომლის გამო უიმედობით მოცულმა პოეტის გულმა კვნესით ამოიოხრა.

«ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
«როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძება».

აი, ამგვარ საზოგადოების ცხოვრებას დავუხატავდი მე, რასაკვირველია, უფრო ვრცლად და უფრო განმარტებით, ზემო-მოყვანილ გონიერ მკითხველს და ვეტყოდი:

— გთხოვთ იცნობდეთ, ბატონო მსაჯულო, ეს გახლავსთ ნამდვილი სურათი ჩვენის საზოგადოებისა იმ დროში, როცა მას ერთი სტრიქონი ბეჭვდის ნაწარმოები თვალითაც არ ენახა, როცა მას სიტყვა «ლიტერატურა» ჯერ ყურშიც არ ჩასწვეთებოდა და, როცა, მოკითხვის წერილების გარდა, რომელსაც ათასი დარეჯანები ათას ელისაბედებს უგზავნიდენ, მთელ საქართველოში არა რა მოიძებნებოდა თანამედროვე კალმის ნაწარმოები. ნახეთ და გასინჯეთ ეს საზოგადოება, გამოიძიეთ მისი ბედი და მისი ავ-კარგიანობა და მემრე დააკვირდით ეხლანდელ ქართველ საზოგადოებასაც, მისს ცხოვრებას, მისს გონებითს მოძრაობას,—შეადარეთ, ასწონეთ ამ ორი საზოგადოების კარგი და ცუდი მხარეები,—და გულ-წრფელად, გულზე ხელ-დაკრეფით, ბრძანეთ: «რომელი ამ საზოგადოებათაგანი უფრო საიმედო და უფრო მოსაწონია,—ის, რომელიც სცხოვრობდა ულიტერატუროთ, თუ ის, რომელმაც გაიცნო და დააფასა,—დიალ, ავად თუ კარგად, დააფასა,—თავისი მშობლიური მწერლობა.

თუ ის ჩვენი მოსაუბრე მართლა გონიერი და დამკვირებელი კაცი იქნება, როგორც ჩვენა გვყავს წარმოდგენილი იგი,—აქედამვე შეგვიძლია მივხვდეთ შეუცდომელად თუ რა გვარი იქნება მისი პასუხი. ის იტყვის: მართალია, ეხლანდელი ქართველი საზოგადოება კიდევ შორს არის იმ იდეალთან, რომელიც ჩვენა გვაქვს გამოსახული მისთვის, მართალია, მისი გონებითი მოძრაობა—მკრთალი აჩრდილია იმ მოძრაობისა, რომელიც დუღს და გადადუღს სხვა უფრო განათლებულ ხალხების ცხოვრებაში,—ცხადია აგრეთვე რომ ძილი და ლორ-მუცლობა, ისე როგორც უმეცრება, ცრუ-მორწმუნეობა და ზნეობითი მახინჯობა ეხლაც შეადგენს ჩვენი საზოგადოების უმეტესობის კუთვნილობას, მაგრამ... მაგრამ, მიუხედველად მისა, დღესავით ნათელია ყველასათვის ის დიდი განსხვავება, რომელიც მოიპოვება ამ ორ საზოგადოებათა შორის. ის ნაბიჯი წარმატებისაკენ, რომელიც სჩანს ეხლანდელ საზოგადოების მდგომარეობაში ადრინდელ საზოგადოებასთან შედარებით, ცხადია ბრმათათვისაც; ეხლა ბჟუტავს მაინც აქა იქ მკრთალი ნათელი, ეხლა სუსტი იმედი მაინც ამხნევებს ზოგიერთ უზენაეს მიზნებთათვის აძგერებულ გულებს, მაშინ როდესაც წინედ სიბნელის და თავ-განწირულ სასო-წარკვეთილების გარდა არა რას ჰქონდა ადგილი. ეხლა კითხვა მაინც იციან, ეხლა სადმე ყრუ ალაგას გადავარდნილმა ქართველმა ის მაინც იცის, რომ მისი სოფლის ან ქალაქის გარდა, არსებობენ კიდევ სხვა სოფლები და ქალაქები, სადაც მასავით ქართველები ჰსცხოვრებენ და მათი წადილი და ლტოლვილება მის საკუთარს ჩამოგავს. იცის აგრეთვე, რომ საქართველოს გარდა არიან კიდევ ქვეყანაზე სხვა ქვეყნები, ამ ქვეყნებში სცხოვრობენ უცხო ხალხები, რომ ამ ხალხებს აქვსთ თავისი საკუთარი კითხვები და ინტერესები, რომელთათვის ისინი მოქმედებენ. ეხლა ქართველმა იცის ეს და ამისათვის აკვირდება ამ ხალხებს, მათ ცხოვრებას, მათ მოქმედებას და მათგან გადმოღებულ კეთილ მაგალითს თავის საკუთარ მიზნად ისახავს გულში. სხვა, უბრალო, ელემენტარულ ჭეშმარიტებებზე ლაპარაკი ხომ სულ მეტია: ვინც კარგად გაიცნობს ეხლანდელ ჩვენს საზოგადოებას, ადვილად მიხვდება, რომ ის, რაც ძველად ბევრის «ქაღარით დაგვირგვინებულ» პირთათვისაც უცნობი და გაუგებარი იყო, დღეს მცირე წლოვანი ბავშვებისთვისაც ცხადი და ჭეშმარიტია...

კითხეთ, ამის შემდეგ ზემო-მოყვანილ გონიერ პირს:

— ვისი, ან რისი ბრალია, ეს ცვლილებათქო?

— ვისი უნდა იყოს, თუ არა მწერლობისა, მოგიგებსთ იგი, იმ მწერლობისა, რომელმაც ათასნაირი დაბრკოლების მიუხედველად, ცოტათი არ იყოს მაინც, განფანტა ძველი მამა-პაპური უმეცრების ნისლი, შეატყობინა ქართველს თავისი ვინაობა, თავისი თავ-გადასავალი . . . მიუთითა ბრწყინვალე მომავალზე, გააცნო უცნობი, აძგერა მისი გული სხვა ხალხების სახელოვან საქმეების წაბაძვის სურვილით, შეაყვარა ეს ხალხები ისე როგორც მათი ნაწარმოები, ჩაუნერგა გულში «გრძნობა ამაყი», რომელმაც . . . მაღლაააწევინა თავი და ხმა-მაღლა ათქმევინა: «მეც კაცი ვარ და თავზე ქუდი მხურავსო!» მწერლობაა და მხოლოდ მწერლობა ამ სახელოვანი ცვლილების მიზეზიო! დაბეჯითებით დააბოლოებს ზემო-ხსენებული გონიერი მოსაუბრე.

— დიალ, მწერლობაა! დავეთანხმებით ჩვენ და თან დავუმატებთ, რომ ვაი იმ ხალხს, რომელიც, ერთის ჭკვიანის კაცისა არ იყოს, არაა დარწმუნებული, რომ უმჯობესია ქვეყნისათვის ჰქონდეს მას ურიგო დაწესებულება-

შარშანვე ქართული დრამატიული არტისტების დასი გაძევებული იყო იმ შემთხვევით, რომ თბილისის პოლიციმეისტერმა ერთს დღეს აფიშაზედ ხელი აღარ მოაწერა და ამის გამოისობით დანიშნულ დღეს წარმოდგენა ვეღარ გაიმართა. ეს იყო მიზეზი, რომ აბონენტებს ვეღარ ავუსრულეთ ის პირობები, რომელნიც ჩვენ მათთან გვქონდა.

შემდეგში ამ გვარივე შემთხვევა რამდენჯერმე განმეორდა და წარმოდგენისათვის დანიშნული დღეები აირდაირია. საზოგადოებამ, რომელმაც საქმის გარემოება არ იცოდა; საყვედური ჩვენ მოგვმართა; საქმის გამოსარკვევლად ჩვენ ვიახლით ბ. პოლიციმეისტერს და იმან გვიჩვენა რაღაცა ქაღალდი, ვითომც დრამატიული საზოგადოების მმართველობისგან მიწერილი, რომ ქართული წარმოდგენების გამართვა მათ მეტს ნება არავისა ჰქონდეს და ამისთვის ჩვენ ქართულ დრამატიულს დასს გვიკრძალავდენ წარმოდგენებს.

ქართული დრამატიული საზოგადოების წესდება ამ საზოგადოების მმართველობას არამც თუ ამ გვარი აღკრძალვის ნებას არ აძლევს, არამედ პირ-და-პირ ვალდებულად ჰხდის ყოველ ქართულს დრამატიულს დასს, რიცხვის გაურჩევლად, შეძლებისამებრ შემწეობაც-კი აღმოუჩინოს.

ამის მიზეზით, თუმცა ჩვენ მმართველობის დასს არ შევადგენდით, ნახსენი ქაღალდი საეჭვოდ გვეჩვენა და ბოლოს აღმოჩნდა, რომ მართლა მმართველობას არავითარი ქაღალდი პოლიციმეისტრისთვის არ გაუგზავნია.

ვინ იყო ამ ქაღალდის შემდგენი, ვისი იყო ამ გვარი ოხუნჯობა, რომელიც მცირედ გასაკიცხი არ არის— იმას თავს ვანებებთ, რადგანაც შარშანდელმა წელმა წაიღო, როგორც იყო, გაიჩანჩალა. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როდესაც წელს გვინდა ისევ იმ წრეში გამოვაცხადოთ მთელი სეზონის რეპერტუარი და არტისტების სახელი, მაგრამ პოლიციმეისტერი ისევ უარს გვეუბნება ამ განცხადების ხელის მოწერაზედ და მით დაწყებამდე ხელს უშლის ახლად შედგენილს დასს, რომელიც უამისოდაც ძლივს კრწოდება. ჯერ საქმე არ გამოაშკარავებულა, რა მიზეზით ხელ-მძღვანელობს ბ. პოლიციმეისტერი, მაგრამ რა მიზეზიც უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოების მმართველობის მოვალეობაა ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს და მით აასრულოს წესდების პირ-და-პირი აზრი, რომლიც მას ავალდებულებს, ქართულის დრამატიული წრის არტისტებს ყოველი გვარი შემწეობა აღმოუჩინოს.

ქართული დრამატიული დასის არტისტი.
ა. მოხევე.

## დროების ფოსტა.

**თ. ნ. დ.** თქვენი „ზარი" დაგვიანებულად მივიღეთ და ვერ დავბეჭდავთ. №№-ების შესრულება რედაქციისათვის საძნელოა; გთხოვთ რომ ფოსტაში მოიკითხოთ ხოლმე; აქედამ წესზედ იგზავნება.

**ი. ა—ანის.** თქვენი პასუხი არ დაიბეჭდება.

**ა—იევს.** ჩვენი ბრალი არ არის თუ თქვენ №№-ები გაკლდებათ; რედაქცია ყოველ დღე რიგზედა ჰგზავნის და თუ გაკლდებათ, მანდაურ ფოსტის კანტორის უყურადღებობის ბრალია. გთხოვთ შეგვატყობინოთ კვლავაც და ჩვენ აქაურ ფოსტაში გიჩივლებთ, გამეორებთ, რომ რედაქცია ამ საქმეში სრულიად უბრალოა.


# განცხადებანი

სასტუმრო (გოსტინიცა)

„იტალია"

ნიკოლაევის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენივრად მორთულია ელექტრიულის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. ფასი ნომრებისა, საჭმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი.
(30—2)

ვისაც სურდეს **ქუთაისის გუბერნია**-ში მამულის გაყიდვა **1000** დესიატინისა, ან მეტისა, მიმართოს თბილისის კანტორაში კ. თ—მის ნესტეროვისა. (10—6)


ნი... ვინემ სრულიად მოკლებული იყოს იმ განმაცხოველებელ ძალას, რომელსაც სახელად «ლიტერატურას» უწოდებენ.

* * *

ყოველისფერი ეს, რაც მოკლედ მოგახსენეთ ზემოთ ლიტერატურის მნიშვნელობაზედ და გავლენაზე, მათქმევინა, როგორც იმ პირთ წინ-დაუხედველობამ, რომელთაც მწერლობა უბრალო «სალაქლაქო» ასპარეზად მიაჩნიათ, ისე ამ ფელტონის თავში ხსენებული ჩემი შიშის და კრძალულების გამართლების სურვილმა. თქვენ მიხვდებოდით, ბატონებო, რომ ეს შიში და კრძალულება მომდინარეობენ არა გასაკიცხის წყაროსაგან. მახსოვს, ერთი ჩვენი მასწავლებელი, რაღაც ჰსჯის დროს, გულ-წრფელად გაგვიტყდა ყმაწვილებს, რომ ყოველ დღე, როცა კათედრაზე ავდივარ, გული რაღაცა მომეტებულად ცემს დამიწყებსო. ამ მოვლენას ის, რასაკვირველია, ჩვენის მორიდების ან შიშის გავლენით კი არ ხსნიდა; მას ეშინოდა და ერიდებოდა იმ პასუხისგებისა, რომლის მოვალედ ჰრაცხდა თავის თავს, როგორც მასწავლებელი, თავის სვინიდისის წინაშე —ხუმრობა კი არ არის ამდენი კაცის პატრონობა და წინამძღვრობა! იტყოდა ხოლმე ის ხშირად.

თუმცა მე არც არავის პატრონობას და არც ბელადობას არ ვკისრულობ, მაგრამ რა გასაკვირველია, რომ ის მცირედი პასუხის გებაც, რომელიც შეკავშირებულია მეფელეტონის—ანუ უმჯობესია ვსთქვათ,—მემატიანის მოვალეობასთან, მეც მაღელვებს და ათასნაირ ფიქრებით მიბურავს გონებას. მე ერთი უბრალო, მცირედი ნაწილი ვარ იმ, შედარებით, დიდი და უზარ-მაზარი გუნდისა, რომელსაც ქართველ მკითხველ საზოგადოებას ეძახიან. ეს საზოგადოება, რომლის წარმომადგენელიც ლიტერატურაა,—თავის მხრით, საუკეთესო წარმომადგენელია იმ კიდევ უფრო დიდი ვინმესი, რომელსაც ქართველ ხალხს უწოდებენ. მაშა სადამე, ადვილი წარმოსადგენია, რა ფიქრები უნდა აღელვებდეს ყოველს ლიტერატურულ ასპარეზზე ახლად გამომსვლელ პირს, რომელიც ერთგვარად უნდა გრძნობდეს თავის თავს პასუხის მგებელად, როგორც ხალხის, ისე მკითხველ საზოგადოების და, დასასრულ, თვით ლიტერატურის წინაშეც.

* * *

ამას გარდა, მე კიდევ საკუთრად, აი რა გვარი ფიქრები არ მაძლევენ მოსვენებას...მე...მე...ჰე და რაღა დაგიმალოთ, გამოგიტყდებით პირ-და-პირ! საქმე იმაშია, ბატონებო, რომ მე ამ ორ დღეში, სწორედ იმ დღიდამ დაწყებული, როცა ჩემი მეფელეტონის მაღალ ხარისხში ამაღლება გავიგე, საოცარი თვალთმაქცობის მსხვერპლად გადავიქეცი. სანამ შევმოჰრდებოდი «დროების» რედაქტორს ამ სიტყვებით: «კარგი: ვიფიქრებ მეთქი», მე, როგორც თქვენც ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ერთად ერთი კაცი ვიყავი, ერთი «ხონელი», როგორც მოწერილია ამ ფელტონის ქვეშ. მაშასადამე, თვითონ მიხვდებით, როგორი იყო ჩემი გაცვიფრება, როცა რედაქტორთან გაყრის შემდეგ, მე უეცრად სამად გავიყავი. სახლში თუ ქუჩაში, ვიჯექი, თუ დავდიოდი,—ვისხედით და დავდიოდით ერთად სამი ხონელი, რომელთაგან ორი,—ქრისტე ღმერთმა უწყის სადამ და როგორი მოვლენილნი!— მოსვენებას არ აძლევდენ ერთს, ყველაზე უფრო ნამდვილს, ესე იგი მას, რომელიც ამ ქამად გაბედნიერებულია თქვენთან საუბრით,— შენ, ჩემო ბატონო ხონელო, ანუ, უფრო მდაბიურად რომ ვსთქვათ, ბ. «მე თვითონ», გვარიანი რეგვენი ბრძანდებით, თუ მართლა ჰფიქრობ ბ. რედაქტორის წინადადების მიღებას, მეუბნებოდა მე, ნამდვილ ხონელს, ერთი, მარცხნით მდგომი, ცრუ-ხონელთაგანი. წინ-დახედული კაცი, სანამ ყაბულს გახდებოდა მაგვარ წინადადებაზე, დაეკითხებოდა ჯერ თავის თავს: «შეუძლია თუ არა იტვირთოს მან აგრე ძნელი მოვალეობა, მომზადებულია იგი ამ გვარ მოვალეობისათვის, იცის მან ხალხის ცხოვრება, ხალხის საჭიროება და სხვა, იმედი აქვს თავისი, რომ მოახერხებს დროზე ჯეროვანი რჩევის მიცემას, დროზე გაკიცხვას, დროზე კითხვების ჯეროვანად დადგენას და გადაწყვეტას და სხვა და სხვა; ერთი სიტყვით,—დააბოლოვა მარცხნივმა ცრუ ხონელმა, შენ უნდა დაფიქრებულიყავი მასზე, იქნები თუ არა ნამდვილი გამომხატველი იმ მოთხოვნილებათა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს კვირის მეფელეტონე. შენ არ შეგიწუხებია თავი ყველა ამაებზე, მაშ-სადამე, შენ არ მოქცეულხარ გონიერად...

და როცა მე, ამ სიტყვებით უფრო ჩაფიქრებულმა, ვინემ გამოჯავრებულმა, მოვინდომე პასუხის მიცემა, მარჯვნივ მდგომმა მეორე ცრუ ხონელმა მსწრაფლად დამკრა ხელი მხარზედ და მითხრა.

— შენ, ჩემო ხონელო, ანუ უფრო მდაბიურად რომ ვთქვათ, ბ. «მე თვითონ», გვარიანი რეგვენი ბრძანდებით თუ მართლა ჰფიქრობ, რომ რაც მარცხნივმა ცრუ-ხონელმა ჰსთქვა, ყოველიფერი მართალია. შენ ახალ მოვალეობაში მაინც-და-მაინც დასაღონებელი არაფერია. რუსებისა არ იყოს, ეშმაკი ისე საშიშარი არ არის, როგორც მას ჰხატვენ. გაიმხნევე გული, გამოისახე პირს ჯვარი და მიჰყავ ხელი შენს ახალ მოვალეობას. მართალია, საქმე ძნელია, მაგრამ მე რომ შენი ღირსება...

აქ ჩემმა მოსაუბრემ სულ აიხსნა ალვირი და მოჰყვა უსირცხვილო ქებას, რომელმაც უფრო გამაბრაზა, ვინემ წინანდელი ცრუ-ხონელის ლანძღვა-გინებამ. დაქანცულმა ამ ვაი-ვაგლახით, მე პირ-და-პირ გავეშურე ბ. რედაქტორთან და სასოწარკვეთილებით გამოვუცხადე, რომ «ყაბულსა ვარ-მეთქი», რითაც—მადლობა ღმერთს—ცოტათი გავთავისუფლდი ჩემ «არა მკითხე მოამბეთაგან» და მოწიწებით შევუდექი ახალ მოვალეობას.

ამავე მოწიწებით გამოვდივარ დღეს სცენაზე და უმდაბლესად მოგახსენებთ:

— სალამი, ბატონებო!

«დრო მეფობს და დრო მტარვალობს» და, როგორც ამბობენ, ხან და ხან კიდეც მსაჯულობს თურმე. მან განსაჯოს, მაშ იმ ორ ცრუ-ხონელებში, ვინ მართალი იყო და ვინ მტყუანი და მანამ კი მესამეს, რომელიც ჯერ-ჯერობით ბრალდებულის როლს ასრულებს, წყალობის თვალით შეხედოთ. ეს მით უფრო სამართლიანი ქცევა იქნება ჩვენის მხრით, რომ მე მაქვს რწმუნება მისგან გამოვაცხადო საყოველთაოდ, რომ ის—შეძლებისა და გვარად—მეუყაითად მოექცევა თავის სამსახურს. განსაკუთრებით-კი, ეცდება, რომ ეგრედ წოდებული სიმართლის სასწორი სვინიდისიანად ეჭიროს ხელში: რაც გასაკიცხია—გაჰკიცხოს, რაც სასაცილო—დასცინოს, რაც ჭეშმარიტებად მიაჩნია—დაიცვას და რაც შეცდომად—გაამჟღავნოს. თუ თქვენც დამეთანხმებით, ბატონებო, ეს სრულიად საკმაოა ჯერ-ჯერობით.

და მით უფრო საკმაოა ჩემის ფიქრით რომ მაინც ხომ ჩვენს ხელშია, მის ბედი და უბედობა და, მისგან პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ადვილია მისი მოშორება:

— «განვედი ჩვენგან, ჰოი მაცდური სულო ბოროტო!» ვიტყვით მხოლოდ და—ჰერი ჰაა! სადღაა შენი მეფელეტონე!

ამა მიზეზების გამო, ნურც ჩვენ გავუტეხთ მას გულს და—რადგანც შეიძლება ჯერ ყმაწვილი კაციც იყოს,—კიდეც წავაქეზოთ ამ სიტყვებით:

— სალამი შენც! «კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა!»

ილ. ხონელი.

გამასესხებელი კასსა

ბ. ქ. ბარამოვისა და კ.

ქუთაისში

აცხადებს, რომ 10-ს და 27-ს რიცხვებს ამა სექტემბრისას დილის ათ საათიდან, ამა კასსის წინ გაისყიდება აუქციონით, გირავოები, რომელნიც არ არიან დახსნილნი შემდეგ ორის ლგოტის თვისა, ე. ი. ოქროსი, ვერცხლისა და სხვა ნივთები. (5—5)

---

ქნეინა თ. ერისთავისაგან ახლათ გახსნილს ღვინის სარდაფში იყიდება საუკეთესო კახური ძველი ღვინოები. სარდაფი იმყოფება ცურინოვის აფთიაქის პირ-და-პირ, სტამბის ქვეშ, მესხიევების სახლებში.

(10—4)

---

## წიგნები

ისყიდება წიგნის მაღაზიაში—ტფილისში: ბრიქუროვთან პუკის ხიდისყურზე, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, ჭიჭინაძესთან ლორის-მელიქოვის ქუჩაში, მესხიევის სახლში, ფოშტის ახლოს.—ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

1) ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები. ნაწილი პირველი. ფასი ექვსი შაური.

2) მეფე ლირი, ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი Ив. მაჩაბლისა და Ил. ჭავჭავაძისაგან. ფასი სამი აბაზი.

3) ანტონოვის თხზულებანი (კომედიები). ფასი ერთი მანეთი.

4) ქართული ანდაზები, შეკრებილი პეტ. უმიკაშვილისაგან. ფასი ორი შაური.

5) კაცია-ადამიანი, მოთხრობა Ил. ჭავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი.

6) ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. ფასი ერთი აბაზი.

7) გრიგოლ ორბელიანის ლექსები. ფასი ექვსი შაური.

8) დედანი საწერი, შედგენილი პეტ. უმიკაშვილისაგან. ფასი სამი კაპეიკი.

9) დავითიანი, ლექსები დავით გურამიშვილისა. ფასი ერთი მანეთი. (5—2)

---

ქალი-ექიმი

## ა. ი. უძერბინინისა

მიიღებს ავად-მყოფებს დილით 10 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე მიხაილოვის ქუჩა. სახ. № 91 (ქალაქის ლაზარეთის პირ-და-პირ)

(8—5)

---

500 კრავატი

კრავატების უიდვამდის სასარგებლოა და კეთილ გონიერებაც მოითხოვს ინახოს რავჯენობა ინგლისის მაღაზიისა არცრუნის გალერეიაში №№ 156, 157, 158 და 160 და ამ ნომრებს ყურადღება მიექცეს. (10—6)

---

ნორაშინის ქუჩაზედ, ფულინოვის სახლებში № 27, ქირავდება ოთახი წყლითა, გათბობით და მოსამსახურით. (3—2)

---

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავატები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—32)

---

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, მოზრდილ ყრმათათვის (დამატება «ბუნების კარისა»), შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ფასი ექვსი შაური; ვინც ერთად იყიდის ათს ეგზემპლიარსა, წიგნი ხუთ შაურად დაუთმობა.

დედანი ქართული წერისა, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, იბეჭდება და სამომდგომოთ მზად იქნება. დედანს თან მოჰყვება საწერი რვეულები, ლიტოგრაფიაში დაბეჭდილნი და შიფრის ფიცრები ბადით, რომელნიც შეკვეთილნი არიან გერმანიაში. (10—8)

---

## სტამბა

ეფთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—17)

---

ინგლისის მაღაზიაში

## თმის-ამომყვანი / მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—38)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისა იატაკისათვის კლიონკები. ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—79)

---

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |

---

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

---

Дозв. цензуро Тифлисъ, 10 Сентября 1883 г. ეფ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი Ი. მაჩაბელი.